საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 434-02
04/03/2025

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში საჯარო სამართლის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,, ა “ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების”, რექტორის 2024 წლის 3 დეკემბრის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში საჯარო სამართლის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ “ N3549-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 ნოემბრის N12 და 2025 წლის 28 თებერვლის N2 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.დამტკიცდეს 2025 წლის 4 მარტს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში საჯარო სამართლის მიმართულებით პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და საჯარო სამართლის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას გიორგი პაპუაშვილი.

2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისათვის: ბიბლიოთეკა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, სამართლის სკოლა.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED